



ცესკო
საერთაშორისო საარჩევნო
სისტემების ცენტრი



საერთაშორისო სიმბოლოთა ბაზითა და
ტექნოლოგიებითა და სწავლით

საერთაშორისო
საარჩევნო
სისტემების ცენტრი



საარჩევნო ყუთის და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები (მუხლი 65)

- მუდმივად უნდა იმყოფებოდეთ საარჩევნო ყუთთან
- უნდა აკონტროლოთ საარჩევნო ყუთი და სპეციალური კონვერტები
- დახურული უნდა გქონდეთ საარჩევნო ყუთის სპეციალური კონვერტის ჩასაგდება ჭრილი
- ფარული კენჭისყრის კაბინიდან ამომრჩევლის გამოსვლის შემდეგ უნდა მიუთითოთ მას, განცალკევებით მდგარი მაგიდიდან დამოუკიდებლად აიღოს ერთი სპეციალური კონვერტი და მოათავსოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენ(ებ)ი
- მას შემდეგ რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს, უნდა გახსნათ საარჩევნო ყუთის ჭრილი და მიუთითოთ ამომრჩეველს სპეციალური კონვერტი მოათავსოს საარჩევნო ყუთში
- სთხოვეთ ამომრჩეველს დატოვოს საარჩევნო უბანი

ყურადღება!

- მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება, საარჩევნო ბიულეტენ(ებ)ი მოათავსოს სპეციალურ კონვერტში, გამონაკლისია ფიზიკური მდგომარეობის მქონე ამომრჩეველი, რომლის ნაცვლად, მისი თანდასწრებით, ბიულეტენ(ებ)ს სპეციალურ კონვერტში ათავსებს და შემდეგ საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსებაში
- საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება
- საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენ(ებ)ი
- უფლება გაქვთ, ამომრჩევლის მიერ სპეციალურ კონვერტში ბიულეტენ(ებ)ის მოთავსებამდე მოსთხოვოთ მას გიჩვენოთ, რომ მას ხელთ აქვს შესაბამისი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენ(ებ)ი და ერთი კონვერტი. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა